№1527 2015 წლის 16 ივლისი ქ. თბილისი

**„ჯახუნდერი-ლალხორი-იფარი-მესტიის“ 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზისა და მისი ექსპლუატაციისთვის აუცილებელი 110/35/10 კვ ქვესადგურის (ქ/ს „იფარი“) და 35/10 კვ 2 ქვესადგურის (ქ/ს „ლალხორი“ და ქ/ს „თეთნულდი“) სამართლებრივი სტატუსის სრულყოფისა და ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე**

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ელექტროგადამცემი სისტემის ოპერატორის - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მხრიდან წარმოდგენილი მოკვლევის აქტის თანახმად, სვანეთის რეგიონში ახალაშენებული ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურა (110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ჯახუნდერი-ლალხორი-იფარი-მესტია“ და 110/35/10 კვ ქვესადგური „იფარი“, 35/10 კვ ქვესადგურები „ლალხორი“ და „თეთნულდი“) სრულად არ პასუხობს უსაფრთხო ტექნიკური ექსპლუატაციის არსებულ სტანდარტებს, რაც მოითხოვს ამ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის შემუშავებას, დაჩქარებულად განხორციელებას და ამისათვის საკმარისი დამატებითი დაფინანსების მოძიება-გამოყოფას. ამასთან, ხსენებული ინფრასტრუქტურის (110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ჯახუნდერი-ლალხორი-იფარი-მესტია“ და

110/35/10 კვ ქვესადგური „იფარი“, 35/10 კვ ქვესადგურები „ლალხორი“ და „თეთნულდი“) ფუნქციონალური როლი და მნიშვნელობა სვანეთის რეგიონის ელექტროენერგიით მომარაგებისთვის, არ იძლევა მისი ექსპლუატაციიდან გამოყვანის შესაძლებლობას არსებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური დარღვევების, რეაბილიტაციის სამუშაოების გზით აღმოფხვრამდე.

2. სვანეთის რეგიონში ახალაშენებული ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის (110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ჯახუნდერი-ლალხორი-იფარი-მესტია“ და 110/35/10 კვ ქვესადგური „იფარი“, 35/10 კვ ქვესადგურები „ლალხორი“ და „თეთნულდი“) საექსპლუატაციოდ ვარგის მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, დაევალოს სს „საპარტნიორო ფონდს“ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ წინასწარ წარდგენილი და დამოუკიდებელი აუდიტის მიერ შეფასებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, შესაბამისი დამატებითი დაფინანსების მოძიება-გამოყოფა და თანადროულად, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კაპიტალის გაზრდა სათანადო ფულადი შენატანით.

3. დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიიღოს სათანადო ზომები, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სვანეთის რეგიონში ახალაშენებული ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის შემადგენელი 110/35/10 კვ ქვესადგურის „იფარის“ და 35/10 კვ ქვესადგურების „ლალხორისა“ და „თეთნულდის“ ელექტროგადამცემი ხაზის ანძებითა და ქვესადგურებით დაკავებული, შესატყვისი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სს „საპარტნიორო ფონდის“ კაპიტალში შეტანის უზრუნველსაყოფად, შემდგომში სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ ამავე ქონების სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

4. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“, გამონაკლისის სახით, უზრუნველყოს ჯახუნდერი-ლალხორი-იფარი-მესტიის 110 კვ

ელექტროგადამცემი ხაზისა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 42.00.003) და მასთან დაკავშირებული 110/35/10 კვ ქვესადგურის „იფარის“ და 35/10 კვ ქვესადგურების „ლალხორისა“ და „თეთნულდის“ უწყვეტი ფუნქციონიერება.

5. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უზრუნველყოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ რეაბილიტაციის გეგმაში სვანეთის რეგიონში ახალაშენებული ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ცვლილებების ასახვა.

6. სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ უზრუნველყოს ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის $9^1$ მუხლით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსაგან საქმიანობის გაგრძელების შესახებ სათანადო გადაწყვეტილების მიღების მიზნით საჭირო პროცედურების განხორციელება.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**